დ ა ს კ ვ ნ ა

„ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერიის საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ”- ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 21 დეკემბრის N32 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ დადგენილების პროექტის შესახებ

დადგენილების პროექტი „ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერიის საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ”- ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 21 დეკემბრის N32 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ შესაბამისობაშია საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ.ბ“, „დ.დ“ და „დ.ე“ ქვეპუნქტებთან, რომელთა თანახმადაც მუნიციპალიტეტის საკრებულოს უფლებამოსილებაა მერიის საშტატო ნუსხის დამტკიცება, მერის თანამდებობრივი სარგოს და მერიის თანამდებობის პირთა და სხვა მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოების ოდენობების განსაზღვრა.

დადგენილების პროექტი შესაბამისობაშია „საჯარო დაწესებულებაში შრომის ანაზღაურების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის მე-2 პუნქტთან, მე-8 მუხლის მე-2 პუნქტთან და 34-ე მუხლის პირველ პუნქტთან, რომელთა თანახმადაც საჯარო დაწესებულებაში დასაქმებულ პირთა (გარდა შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული პირებისა) თანამდებობრივი სარგოები აისახება საჯარო დაწესებულების საშტატო ნუსხაში და საჯარო დაწესებულებებმა საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით უნდა უზრუნველყონ საშტატო ნუსხებისა და თანამდებობრივი სარგოების „საქართველოს 2018 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული საბაზო თანამდებობრივი სარგოს „საჯარო დაწესებულებაში შრომის ანაზღაურების შესახებ“ საქართველოს კანონის №2 დანართის №2 ცხრილით განსაზღვრულ შესაბამის კოეფიციენტზე ნამრავლის მიხედვით დამტკიცება და მათი 2018 წლის 1 იანვრიდან ამოქმედება. ასევე, დადგენილების პროექტი შესაბამისობაშია ამავე კანონის 34-ე მუხლის მე-6 პუნქტთან, რომელის თანახმადაც 2018–2020 წლებში პოლიტიკური თანამდებობის პირების თანამდებობრივი სარგოები უნდა განისაზღვროს საშტატო ნუსხით და დადგინდეს არაუმეტეს ამ თანამდებობის პირებისათვის 2017 წელს გაცემული საშუალო თვიური შრომის ანაზღაურების მიხედვით.

დადგენილების პროექტი შესაბამისობაშია „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე–20 მუხლის მე–4 პუნქტთან, რომლის თანახმადაც ნორმატიულ აქტში ცვლილების ან/და დამატების შეტანა ხდება იმავე სახის ნორმატიული აქტით. იგი იმ ნორმატიული აქტის განუყოფელი ნაწილია, რომელშიც შეტანილი იქნა ცვლილება. ამავე კანონის 24-ე მუხლით პირველი პუნქტი ადგენს, რომ ნორმატიულ აქტს უკუძალა აქვს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ეს პირდაპირ არის დადგენილი ამ ნორმატიული აქტით.

აღნიშნული პროექტის მიღება იწვევს „ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერიის თანამდებობის პირთა და სხვა მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოს განაკვეთების განსაზღვრის შესახებ“ ჩოხატურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 21 დეკემბრის #33 დადგენილების ძალადაკარგულად გამოცხადებას, ვინაიდან ,,ნორმატიული აქტების შესახებ“- საქართველოს კანონის 25-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად ნორმატიული აქტი ან მისი ნაწილი ძალას კარგავს თუ მიღებულია (გამოცემულია) ნორმატიული აქტი, რომელიც მას ძალადაკარგულად აცხადებს.

ადმინისტრაციული სამსახურის იურიდიული

განყოფილების უფროსი: ბექა შენგელია